ოქმი:**ო08.37222731**

თარიღი:**30/09/2022**

ოქმი № 20
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის

2022 წელი, 29
სექტემბერი

ქ.ოზურგეთი

11.00 -11.30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: პ. კიღურაძე, გ. ჩავლეშვილი, ბ. კილაძე, გ. შილაკაძე, თ. ტუღუში, ალ. ღლონტი, გ. კილაძე, ნ. მახარაძე, ვ. ნიჟარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული კონჭკათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე (ს.კ. 26.03.14.175), დაბა ნასაკრალის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე (ს.კ. 26.29.24.126), გურიანთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე (ს.კ.26.06.25.408) და ჭანიეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე (ს.კ.26.15.10.363) უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

   მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

   თანამომხსნებელი: თ. ბაქანიძე.
2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ.
   მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე
   თანამომხსნებელი: ლ. თავაძე

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ, მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგის პირველ საკითხზე, კონკრეტულად მასზე კომისიის წევრებს ინფორმაცია მიაწოდა თანამომხსენებელმა თ. ბაანიძემ, მოხსენების მოსმენის შემდეგ, სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს განკარგულების პროექტის საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე წარდგენა განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ, ასევე მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგის მეორე საკითხზე, საკითხი დეტალურად გააცნო კომისიის წევრებს თანამომხსენებელმა ლ. თავაძემ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს დადგენილების პროექტის საკრებულოსა და ბიუროს

სხდომებზე წარდგენა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და დღის წესრიგში წარმოდგენილი ორივე საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოასა და ბიუროს სხდომებზე, ამასთან N 1 განხილვისა და დამტკიცების, ხოლო N 2 განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი